ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №8

ქ. ლანჩხუთი **22.11.2024 წელი**
11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, ვერიკო კვირკველია, ვლადიმერ ნანაძე და გიორგი ჩახვაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია** და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

3. სხვადასხვა.

მომხრე-6, დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 05 აგვისტოს N1101 განკარგულებით შესული ცვლილებებით, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ,,საქართველოს 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ მუნიციპალიტეტს გამეყო 5000000 ლარი, რომელიც მიიმართება: გზების, ხიდეებისა და სანიაღვრე

არხების რეაბილიტაციაზე 4179419 ლარი, წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე 88802 ლარი, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია რეაბილიტაციაზე 6818 ლარი, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების რეაბილიტაცია ექსპლოატაციაზე 725777 ლარი, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული არასაცხოვრებელი შენობის რეაბილიტაციის დაფინანსება შემცირდეს 816 ლარით. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N 2402 განკარგულებით მიმდინარე წლის 03 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის N1403 განკარგულებით შესული ცვლილებების შედეგად ქ.ლანჩხუთში ბაგრატიონის, ბესიკის, გოგიჩაიშვილის, ებრალიძის, თამარ მეფის (პირველი ეტაპი) რ.ებრალიძის, საფო მგელაძის და ხოფერიას ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსება გაიზარდა 144424 ლარით და განისაზღვრა 3650241 ლარი. აქედან, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 3467728 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 182513 ლარი. საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 23 ივლისის N1025 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 298249 ლარი მიიმართოს გზების მოვლითი ღონისძიებების დაფინანსებაზე. მიმდინარე წლის ბიუჯეტის 10 თვის შესრულების ანალიზის შედეგად მიზანშეწონილია განხორციელდეს კორექტირება ისეთი ღონისძიებების რომელთა შესრულება ვერ განხორციელდება წლის დარჩენილ პერიოდისათვის, კერძოდ; წყლის სისტემის რეაბილიტაცია შემცირდეს (ტენდერი ვერ შედგა) 230000 ლარით, სოფლის მხარდაჭერის თანადაფინანსება 41950 ლარით, ოჯახების სოციალურ ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა 100000 ლარით, გარე განათების მოხმარებული ელექტროენერგიის დაფინანსების ხარჯი 65000 ლარით, გარე განათების არაფინანსური აქტივების მუხლი 5000 ლარით, გზების მიმდინარე შეკეთების ხარჯები 50000 ლარით, წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის მუხლი 20000 ლარით, ასევე შემცირდეს მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურებების ხარჯი 20000 ლარით.

მან ასევე აღნიშნა, რომ საბიუჯეტო დაწესებულებებიდან შემოსული წინადადებების გათვალისწინებით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა შემცირდეს 28000 ლარით, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა 800 ლარით, შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა 10500 ლარით, ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანხმლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა 3500 ლარით, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამის 2000 ლარით, სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა 2000 ლარით, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა 900 ლარით, ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა 3000 ლარით. აღნიშნული შემცირებების ხარჯზე გაიზარდოს ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა 590 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 2300 ლარით, ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა 5000 ლარით, მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბურნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა 1500 ლარით, სამკურნალო საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამა 16110 ლარით, ამასთან აღნიშნული პროგრამის დაფინანსება დამატებით გაიზარდოს 70000 ლარით.

განათლების ხელშეწყობის პროგრამის სხვა ხარჯების მუხლი გაიზარდოს 2530 ლარით, კულტურის ხელშეწყობის პროგრამის სხვა ხარჯების მუხლი 3000 ლარით, ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამის სუბსიდიის მუხლი 2970 ლარით, გრანტის მუხლი 1500 ლარით.

ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დაფინანსება გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 5000 ლარით, სხვა ხარჯების მუხლის 900 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი

და მომსახურების მუხლი 900 ლარით. ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება გაიზარდოს 55000 ლარით საქონელი და მომსახურების მუხლი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდოს 1500 ლარით, სოც.უზრუნველყოფის მუხლის 1400 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 1400 ლარით. მუნიციპალიტეტის მერიის საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდოს 25000 ლარით, ხოლო შრომის ანაზღაურების მუხლის 16000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი 16000 ლარით. ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის შტატით მომუშავეთა ანაზღაურების მუხლის 150000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 142000 ლარით და საქონელი და მომსახურების მუხლი 8000 ლარით. ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის არაფინანსური აქტივების მუხლის 1927 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 1927 ლარით. შემცირდეს შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლის გეგმა 141167 ლარით, არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი შემცირდეს 224283 ლარით, ასევე განხორციელდეს სხვა შემოსავლების ცალკეულ სახეებში შიდა კორექტირება.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ფინანსური აქტივების კლება 5,521.1 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე მოსალოდნელ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2025 წლის განმავლობაში. 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა 6939,4 ათ.ლარი. მათ შორის განკარგულებებით გამოყოფილი თანხის ჯამმა შეადგინა 2445,3 ათ. ლარი. აქედან 2020 წლის 9 იანვრის N27 განკარგულებით საჯარო სკოლების ინფრასრუქტურის გაუმჯობესებისათვის 81,4 ათ. ლარი; 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულების კაპიტალური ტრანსფერი 214,6 ათ. ლარი; სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ტრანსფერი 106,9 ათ. ლარი; 2019 წლის 14 მაისის N1063 განკარგულების ნაშთი 13,3 ათ. ლარი; 2020 წლის 19 მარტის N574 განკარგულების ნაშთი 46,2 ათ. ლარი; 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულების ნაშთი 55,6 ათ. ლარი; N1419 განკარგულების ნაშთია 615,6 ათ ლარი; ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების სალიკვიდაციოდ განკარგულებებით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილმა ნაშთმა შეადგინა 1256,9 ათ. ლარი. არსებული ნაშთებიდან მიიმართა 2024 წლის ბიუჯეტში შესაბამისი სამუშაოების დასაფინანსებლად 2082,8 ათ. ლარი, ხოლო 362,5 ათ. ლარი ექვემდებარება უკან დაბრუნებას. სახაზინო ანგარიშზე არსებული 4494,2 ათ. ლარი ნაშთიდან 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯების დასაფინანსებლად მიიმართა 4398,3 ათ. ლარი.

მანასევე აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება უნდა განისაზღვროს 58,1 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს

მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 87,0 ათას ლარს, ხოლო 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 29,0 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 8,871.9 ათასი ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2,665.0 ათასი ლარი.

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 5,324.2 ათასი ლარი.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 7,549.4 ათასი ლარი.

დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,224.6 ათასი ლარი

2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 70,0 ათასი ლარის ოდენობით.

2025 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 26377,3 ათას ლარს შეადგენს.

2025 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 13942.0 ათასი ლარით;

2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 8.7 %-ით (1117,3 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1600,0 ათას ლარს;

2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ქონების გადასახადი 100 ათასი ლარით არის გაზრდილი, რაც გამოწვეულია საწარმოთა ქონების გადასახადის გაზრდით.

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 6450.8 ათასი ლარით, მათ შორის:

2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 5302.3 ათ ლარით შემცირდა.

2025 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 640,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

რენტა 490,0 ათასი ლარი; პროცენტები 150 ათასი ლარი. 2024 წლის გეგმიური მაჩვენებელი შენარჩუნებულია.

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 72,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლები 20,0 ათასი ლარი;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 12,0 ათასი ლარი;

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 40,0 ათასი ლარი;

აღნიშნული შემოსავლები 2024 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებთან არის შესაბამისობაში.

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 3472.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია მოსალოდნელი შესრულების გათვალიწინებით.

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან) 200,0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 120,0 ათასი ლარს;

ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 58,1 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა საკუთარი შემოსავლებით შეადგენს 25353.0 ათას ლარს (2024 წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 518.3 ათასი ლარით).

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.
პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:
ინფრასტრუქტურის განვითარება - 4390.3 ათასი ლარი; მათ შორის:
საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 641.3 ათასი ლარი;
წყლის სისტემების განვითარება -259.2 ათასი ლარი;
გარე განათება - 961.6 ათასი ლარი;
კეთილმოწყობის ღონისძიებები-242,0 ათასი ლარი;
მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება - 486,3 ათ ლარი
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრულია 650,0 ათასი ლარი:
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.
მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 750 ათასი ლარი
სოფლის პროგრამის მხარდაჭერა 300 ათასი ლარი
ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა - 100,0 ათასი ლარი
დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2665,0 ათასი ლარი, მათ შორის:
დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2343,0 ათასი ლარი.
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.
მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 302,0 ათასი ლარი.
მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ ლანჩხუთში მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა.
უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 20,0 ათასი ლარი;
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ცხოველების დაცვითი ღონისძიებები.
განათლება - 5086,3 ათასი ლარი, მათ შორის:
სკოლამდელი განათლება - 5027,3 ათასი ლარი;
განათლების ხელშეწყობა - 59,0 ათასი ლარი
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 5809,7 ათასი ლარი მათ შორის:
სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 3524,6 ათასი ლარი;
პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებსაც.
კულტურის განვითარების ხელშეწყობა -2253,1 ათასი ლარი;
პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურის ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.
ახალგაზრდობის მხარდაჭერა -32,0 ათასი ლარი;
პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ახალგაზრდების ინიციატივებით წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1224,6 ათასი ლარი, მათ შორის:
სოციალური პროგრამები - 1224,6 ათასი ლარი;
მმართველობა - 6177,1 ათასი ლარი, მათ შორის:
საკრებულოს დაფინანსება - 1530,3 ათასი ლარი;
მერია - 4178,9 ათასი ლარი;
სარეზერვო ფონდი - 70,0 ათასი ლარი;
სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 68,1 ათასი ლარი, მათ შორის - ძირი 58,1 ათასი ლარი და პროცენტი -10 ათასი ლარი.
წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 100,0 ათასი ლარი
ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 2 ათასი ლარი.
სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაფინანსება განსაზღვრულია 6665.3 ათასი ლარით.
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 6325.1 ათასი ლარი;
ეკონომიკური საქმიანობა - 5494.6 ათასი ლარი;
გარემოს დაცვა - 2645 ათასი ლარი;
საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 3397.3 ათასი ლარი;
დასვენება, კულტურა და რელიგია-7549.4 ათასი ლარი;
განათლება -5324.2 ათასი ლარი;
სოციალური დაცვა -1224.6 ათასი ლარი;

გიორგი ჩახვაძემ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით გამოთქვა შემდეგი სახის შენიშვნები, კერძოდ:

1. ქირავნობის პროგრამით გათვალისწინებული თანხა 150 ლარი არასაკმარისია და აუცილებელია აღნიშნული დაფინანსება განისაზღვროს მინიმუმ 300 ლარით.
2. მან ასევე გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის დაფინანსება შეადგენს 250 ლარს და აუცილებელია აღნიშნული დაფინანსება გაიზარდოს 500 ლარამდე.
3. მისი თქმით მიზანშეწონილია საოპერაციო ხარჯი ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხა 200 ლარამდე დაფინანსდეს სრულად.
4. მან მოითხოვა, რომ ომის ვეტერანები და შშმ პირები მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობისას გათავისუფლდნენ გადასახადისგან.
5. მისი თქმით ასევე გადასახედია მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის საკითხი. უმჯობესია მოხდეს აღნიშნულ ბენეფიციართა ვაუჩერიზაცია.

ია მოქიამ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით გამოთქვა შემდეგი სახის შენიშვნები:

1. მისი ინიციატივაა საქონელი და მომსახურების მუხლში გეოგრაფიული ობიექტების მიმანიშნებელი აბრების კუთხით თანხის გამოყოფა. კერძოდ, გასულ წელს გრიგოლეთის ცენტრალურ ქუჩას ეწოდა წმინდა გრიგოლის სახელი, ხოლო ცენტრალურ გზასთან დამაკავშირებელ ქუჩას ნოდარ დუმბაძის სახელი, საჭიროა აბრების დამზადება, რომელიც მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას წარმოადგენს. მოგეხსენებათ გრიგოლეთი არის კურორტი, რომლის პოპულარიზაციაც მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია, უკვე დამტკიცებულია განაშენიანების გეგმა, ჩატარდა მაგნიტური ქვიშის კვლევა და მეტი ყურადღება ექცევა ამ კურორტის განვითარებას თუ მოწესრიგებას.
2. ასევე, შესაძლებლობის ფარგლებში სადღესასწაულო ღონისძიებების მუხლს დაემატოს გარკვეული თანხა ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრებში საახალწლო ნათურების მონტაჟისთვის, რადგან სოფელსაც სჭირდება სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნა და მოსახლეობის განწყობის ამაღლება.
3. მისი თქმით, სუფსა არის ყველაზე დიდი სოფელი და არ არის ხელოვნურსაფარიანი სტადიონი, რაც იწვევს ახალგაზრდების სამართლიან უკმაყოფილებს, სუფსის ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანია

სპორტი, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ჩვენი ვალდებულება კი არის ამ კუთხით ხელშეწყობა. მათი ინიციატივით მოძიებულია ტერიტორია, სადაც შესაძლებელია მოეწყოს ხელოვნურსაფარიანი სტადიონი და მოხდეს მიმდებარე ტერიტორიის გალამაზება/გამწვანება. შესაძლებლობის ფარგლებში გთხოვთ, „კაპიტალური დაბანდება სპორტის სფეროში" მუხლში მოხდეს გათვალისწინება.

4. სუფსაში წყალთან დაკავშირებით დღემდე დგას მუნიციპალიტეტის წინაშე პრობლემები, თუმცა ყველაზე საფრთხისშემცველია ხიდმაღალის წყლის სიტუაცია, საჭიროა მოხდეს სრული შესწავლა და დაზიანებული მილების ახლით შეცვლა, სასურველია აღნიშნული გათვალისწინებულ იქნას 2025 წლის ბიუჯეტში წყლის სისტემის განვითარების მუხლში.

ალექსანდრე მახათაძემ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით გამოთქვა შემდეგი სახის შენიშვნები:

1. მას მიზანშეწონილად მიაჩნია ბაზრისა და ავტოსადგურის ერთ ლოკაციაზე განთავსება, რაც მისი აზრით გამოიწვევს ქალაქის ცენტრალური ნაწილის გარკვეულწილად განტვირთვას.
2. მან ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის რელიეფიდან და ბოლოდროინდელი გახშირებული სტიქიური მოვლენებიდან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს მაღალი გამავლობის ე.წ. კალათა მანქანისა და გრეიდერის შეძენა.
3. ასევე, საკრებულოს აპარატის გამართულად ფუნქციონირებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 5000 ლარის ნაცვლად განისაზღვროს 20000 ლარით.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №8

ქ. ლანჩხუთი 22.11.2024 წელი

2024 წლის 22 ნოემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შემდეგი სახის შენიშვნების გათვალისწინებით:

1. 2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას გრეიდერისა და კალათა მანქანის შესაძენი თანხა.

2. გათვალისწინებულ; იქნას შესაბამისი თანხა ბაზრისა და ავტოსადგურის მშენებლობისთვის.

3. საკრებულოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი განისაზღვროს 20000 ლარით.

4. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის დაფინანსება გაიზარდოს 500 ლარამდე.

5. ომის ვეტერანები და შშმ პირები მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობისას გათავისუფლდნენ გადასახადისგან.

6. ქირავნობის პროგრამით გათვალისწინებული თანხა განისაზღვროს მინიმუმ 300 ლარით.

7. გეოგრაფიული ობიექტების მიმანიშნებელი აბრების დასამზადებლად და განსათავსებლად გამოიყოს თანხა.

8. შესაძლებლობის ფარგლებში სადღესასწაულო ღონისძიებების მუხლს დაემატოს გარკვეული თანხა ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებში საახალწლო ნათურების მონტაჟისთვის.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22.11.2024 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	10 [illegible]	
2	ია მოქია	10:55	
3	გიორგი ჩახვაძე	10 55	
4	სპარტაკ კვაჭაძე	10 – 58	
5	კახა თედორაძე	არ ესწრებოდა	
6	ვლადიმერ ნანაძე	10 55	
7	გიორგი გოგუაძე	არ ესწრებოდა	
8	ვერიკო კვირკველია	11 00	
9	ჯუმბერ ბლაგიძე	არ ესწრებოდა	